

მწვანე ზარათის სისტემის დანერგვის პერპექტივა საქართველოში

დავით ტაბატაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, სრული პროფესორი
მაგდა ასათიანი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

დავით ტაბატაძე

14.07.2014

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის „მწვანე ბარათის“ სისტემას და საქართველოში ამ ორგანიზაციის პრინციპებისა და დებულებების დანერგვას და განვითარებას.

ამ მხრივ, საინტერესოა და ნაშრომში განხილულია საქართველოში ამ პრინციპების გაზიარება, მით უმეტეს, აქტუალურია, რადგან ქვეყანაში მიმდინარეობს ევრო ინტეგრაციული პროცესები, ასევე სხვადასხვა დონის სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთდა განცხადებები სავალდებულო გახდეს ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

აქედან გამომდინარე, ასეთი იდეის განხორციელების შემთხვევაში საქართველო შეასრულებს „მწვანე ბარათის“ ორგანიზაციის მთავარ დებულებებს, ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულოობას, რაც პერსპექტივაში ამ სისტემასთან შეერთების წინაპირობაა.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა განხილვას, თუ რას წარმოადგენს „მწვანე ბარათის“ სისტემა, რამდენად მისაღებია იგი საქართველოსთვის, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას და როგორ უნდა მოხდეს მისი გადაჭრა. ასევე განხილულია ამ მიმართულებით საქართველოს განვლილ გზას და დღევანდელ მდგომარეობას.

ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ევროპისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განვითარებული პროდუქტია, საქართველოში კი ნაკლებად ექცევა ყურადღება, ამისათვის მნიშვნელოვანია ავტომომხმარებლების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი.

ყოველივე ამ ინფორმაციების საფუძველზე, შემუშავებულია პრობლემის ზოგადი სურათი, პერსპექტიული ხედვა და რეკომენდაციები, რათა მოხდეს დაზღვევის ამ მიმართულების განვითარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მწვანე ბარათი, დაზღვევა, საქართველო.

Abstract

Subject to the following Terms of autocivil Green Card "system, and the introduction and development of the principles and provisions of the organization in Georgia.

Green Card system is the organizational unity of the 45 countries that have agreed to the general principles of liability insurance in the insurance field. In this regard, it is interesting, and this paper provides an overview of the principles of sharing in Georgia, especially relevant as the Euro integration processes underway in the country, as well as various levels of state officials made statements autocivil become mandatory liability insurance.

Hence the idea of implementing such a case, perform the Georgia Green Card "of the main provisions of autocivil binding character of the liability, which is a prerequisite for joining the run this sistemastan.

Therefore, this paper focuses on discussion of what constitutes 'Green Card' system, whether it is acceptable for Georgia, what problems may arise and how it should be resolved.

Also in the review of the past and the present condition of the road Autocivil liability insurance and other developed countries in Europe and developed a product, the less paid attention to Georgia, it is important to approach the issue of car holders.

All of this information, has been designed to solve the general picture, promising a vision and recommendations in order to insure the development of this direction.

Key words: *Green Card, Insurance, Georgia.*

მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ ვერულავას.

ასევე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დოქტორანტს, მაგდა ასათიანს.

კვლევის სრულყოფილად წარმოებისთვის გაწეული დახმარებისთვის, გულისხმიერებისა და თანამშრომლობისათვის თითოეულ რესპოდენტს ვუხდით მადლობას, რომელთა მეშვეობით საშუალება მოგვეცა უშულოდ გავცნობოდით საკითხის პრობლემას.